თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 17

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 13 დეკემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორიე.ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ირაკლი ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების

გავლენა ქვეყნის ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი), დაცვის კომისიისა და შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წესში ცვლილების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

7. მიმდინარესაკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

პროფესორმა გ.ღაღანიძემ აღნიშნა რომ საკითხს: სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ირაკლი ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების გავლენა ქვეყნის ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი), დაცვის კომისიისა და შემფასებლების დამტკიცების შესახებ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ნაცვლად გამოიტანს დეკანის მოადგილე ასოცირებული პროფესორი ნ.ფარესაშვილი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ე. ხარაიშვილმა მოითხოვა დღის წესრიგში ორი საკითხის დამატება:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორიე. ხარაიშვილი/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---24

წინააღმდეგი---0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის N17 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

4. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

6. სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ირაკლი ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების გავლენა ქვეყნის ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ველესიანი), დაცვის კომისიისა და შემფასებლების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ნ. ფარესაშვილი/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წესში ცვლილების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

9. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №23851/10, 05.12.2019) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 2006 წლის კურსდამთავრებულ ზეინაბ ლომაშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა, მინიჭებული აკადემიური ხარისხისა და სპეციალობის დაზუსტება.

ზეინაბ ლომაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) დანიშნის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმისგარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმისგარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით და დასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ 2003 წელს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ზეინაბ ღომაშვილს სწავლის გაგრძელების ნება დაერთო თბილისის ბიზნესის სახელმწიფო უნივერისტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ეკონომიკური ფაკულტეტის შესაბამის კურსზე - ბრძანება №52[1], 30.12.2003 (*შენიშვნა: ბრძანებაში არაა მითითებული, რომელ კურსიდან მიეცა სწავლის გაგრძელების უფლება).*

2005 წლის 25 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №146 დადგენილების საფუძველზე მოხდა თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის სახელწოდების შეცვლა და ეწოდა თბილისის ეკონომიკურ

ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი (ბრძანება №01-08/57, 12.09.2005).

საარქივო დოკუმენტებში დაცულია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საკვალიფიკაციო-საგამოცდო უწყისი და საკვალიფიკაციო-საატესტაციო გამოცდების 2006 წლის 26 ივნისის ოქმი (ენომრო), საიდანაც დგინდება შემდეგი: ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ფაკულტეტის ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების V კურსის სტუდენტმა ზეინაბ ლომაშვილმა საკვალიფიკაციო გამოცდა საგანში „ფისკალური პოლიტიკა და ფინანსური სისტემები, მენეჯმენტის საფუძვლები" ჩააბარა 2006 წლის 26 ივნისს და მიიღო შეფასება „ფრიადი (5)".

2006 წელს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის სტუდენტს ზეინაბ ლომაშვილს, რომელმაც სრულად გაიარა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინები, ჩათვალა და ჩააბარა გამოცდები, გაიარა წინასადიპლომი პრაქტიკა, ჩააბარა საატესტაციო და საკვალიფიკაციო გამოცდა მიენიჭა ეკონომისტის (დიპლომირებული სპეციალისტის) აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორის ბრძანება №142, 11.07.2006).

დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი TEU-GS №000092 (სარეგისტრაციო №000092) რეგისტრირებულია ზეინაბ ლომაშვილის სახელზე.

მოძიებული ინფორმაციით თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის

კურსდამთავრებულებს აკადემიური ხარისხი ენიჭებოდათ საატესტაციო და საკვალიფიკაციო გამოცდების შემდეგ თეუსუ-ს ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე თეუსუ-ს ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

აზრი გამოთქვეს: აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზეინაბ ლომაშვილის

ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 11 ივლისი და ნომრად №142/3.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ისუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №22405/10, 15.12.2019) მოითხოვა ყოფილი საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლელა ჯავახიშვილის დიპლომის დანართი. საქმის შესწავლისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად კურსდამთავრებულის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ლელა ჯავახიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილები სთარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმისგარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმისგარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლაში დაცული საარქივო მასალებდან ჩანს, რომ ლელა დავითის

ასული ჯავახიშვილი 2001-2004 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციულ უნივერსიტეტთან არსებულ თბილისის კოლეჯში საბანკო საქმის სპეციალობით და სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა საბანკო საქმის სპეციალისტის კვალიფიკაცია (დიპლომი აე№0001112, სარეგისტრაციო №5429).

«საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციულ ინსტიტუტში 2004-2005 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით აბიტურიენტთა და ინსტიტუტთან არსებული თბილისის კოლეჯის კურსდამთავრებულთა ჩარიცხვის შესახებ» საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორის 2004 წლის 10 აგვისტოს №37/ს ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ინსტიტუტთან არსებული თბილისის კოლეჯის კურსდამთავრებული ლელა დავითის ასული ჯავახიშვილი უგამოცდოდ ჩაირიცხა ფინანსები, საბანკო, საგადასახადო და საბაჟო საქმის სპეციალობის ფასიანი, დაუსწრებელი სწავლების II კურსზე. ლელა ჯავახიშვილი 2005 წელს გადაყვანილი იქნა II კურსიდან III კურსზე (ბრძანება №36/ს, 25.07.2005). 2006 წელს - III კურსიდან IV კურსზე (ბრძანება №29/ს, 31.07.2006).

«ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ» საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის 2007 წლის 20 ივლისის №15/ს ბრძანებით ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №11, 20.07.2007) 2007 წლის კურსდამთავრებულ ლელა ჯავახიშვილს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია ეკონომისტი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ლელა ჯავახიშვილის სახელზე გაცემულია ბაკალავრის დიპლომი GELIN№000018 (სარეგისტრაციო №000018).

ტურიზმის სკოლაში დაცული საარქივო მასალებში არ იძებნება აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციულ ინსტიტუტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №11, 20.07.2007. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის მიერ «ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ» საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აზრი გამოთქვეს: აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის მიერ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით «ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის

მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ» სარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- «ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ» საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის 2007 წლის 20 ივლისის №15/ს ბრძანებით 2007 წლის კურსდამთავრებულ ლელა ჯავახიშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2007 წლის 20ივლისი*** და ოქმისნო მრად ***№15/3***;
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს «ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომების გაცემის შესახებ» საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორის 2007 წლის 20 ივლისის №15/ს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2007 წლის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. საქართველოს ეკონომიკისა და სასამართლოს ინსტიტუტის რექტორის ბრძანება № 15/ს, 20.07.2007).*

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მსარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი, პროფესორიე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

2. ავთანდილ სილაგაძე - აკადემიკოსი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

3. ვლადიმერ პაპავა - აკადემიკოსი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

4. რევაზ გველესიანი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

5. ეთერ ხარაიშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

6. სიმონ გელაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

7. იური ანანიაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

8. მირიან ტუხაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

9. თეიმურაზ ბერიძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

10. გიორგი ღაღანიძე - პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

11. ირმა გრძელიძე - თსუ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

12. მარინა ნაცვალაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

13. ნაზირა კაკულია - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

14. ლელა ბახტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

15. მერაბ ჯულაყიძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

16. მარინე მინდორაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

17. გულნაზი ერქომაიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

18. თამარ ლაზარიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

19. რამაზ აბესაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი

20. ვანო ბენიძე - დოქტორანტი

21. ნინო ტალიკაძე - დოქტორანტი

22. ნინო ბერაია - კურსდამთავრებული

23. ლია ძებისაური - საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი

24. მიხეილ ჯიბუტი - საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი

25. მარინა ჩავლეიშვილი - თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

26. ირმა მშვენიერაძე - თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

27. ნანა მაისურაძე - თსუ, პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

28. ია ნაცვლიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

29. მანანა ლობჟანიძე - თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

30. აკაკი მიქაბერიძე - თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი

31. ზურაბ აბრამიშვილი - თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელი

32. ნინო მუხურაძე - თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელი პროგრამის განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის წარმოდგენილი შემადგენლობა

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მარია ვოლოვიკის (პ/ნ:01005034562) თსუ-ში ჩაირიცხა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე (ბრძანება №995/01-04, 14.09.2015).

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდები ჩააბარა ინდივიდუალური წესით (სექტემბრის თვეში) და შესაბამისად მისი გვარი არ იყო წარდგენილი ხარისხის მინიჭებაში.

მიღებული შეფასებები თსუ საგამოცდო ცენტრმა მარია ვოლოვიკისს მოსაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE) დაუფიქსირა 2019 წლის 30 სექტემბერს, თუმცა ამ პერიოდისთვის მას სტუდენტის სტატუსი უკვე შეჩერებული ჰქონდა (ბრძანება №815/01-04, 24.09.2019). ამჟამად, მარია

ვოლოვიკის შესრულებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს შუამდგომლობაზე დააყენა საკითხი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომ მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის 2019 წლის კურდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ვოლოვიკის მარია 01005034562

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის 2019 წლის კურდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ვოლოვიკის მარია 01005034562

მოისმინეს: ისევ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№23851/10, 05/12/2019), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის 2006 წლის კურსდამთავრებულის ზეინაბ ლომაშვილის დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემის შექმნა, მინიჭებული აკადემიური ხარისხისა და სპეციალობის დაზუსტება.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ზეინაბ ლომაშვილმა 2003 წლის 30 დეკემბერს თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლა გააგრძელა, როგორც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა. (ბრძანება №52 30.12.2003). ბრძანებაში აღნიშნულია რომ ჩაირიცხა შესაბამის კურსზე, არ არის მითითებული თუ რომელ კურსზე ჩაირიცხა. თუმცა სასწავლო ბარათიდან შეიძლება დადგინდეს, რომ ჩაირიცხა ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის სპეციალობის მესამე კურსზე.

2005 წელს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი და ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი გაერთიანდა. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N146 25.08.2005 „სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტისა და სსიპ თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის გაერთიანების შესახებ“)

2006 წელს ზეინაბ ლომაშვილმა დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი და მასზე გაიცა დიპლომი (ბრძ. №142 11.07.2006).

თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის დასკვნითი ოქმი. წარმოდგენილია მხოლოდ საკვალიფიკაციო-საატესტაციო გამოცდის ოქმი ნომრის გარეშე. სადაცმითითებულია:

ა) საგანი „ფიკსალური პოლიტიკა და ფინანსური მენეჯმენტი, მენეჯმენტის საფუძვლები“, ბ) სპეციალობა „ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმე“.

გ) სწავლების ფორმა - დაუსწრებელი განყოფილება (V კურსი)

დიპლომის გაცემის შესახებ ცენტრის დირექტორის 2006 წლის 11 ივლისის №142 ბრძანებაში კვალიფიკაცია მითითებულია შემდეგნაირად:

ეკონომისტი, (დიპლომირებული სპეციალისტი). ზეინაბ ლომაშვილის მიერ წარმოდგენილ 2006 წლის 20 ოქტომბერს გაცემულ დიპლომში არსებული ჩანაწერის თანახმად მას მინიჭებული აქვს „ბიზნესის მართვის" დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვს კურსდამთავრებულ ზეინაბ ლომაშვილისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას და საჭიროების შემთხვევაში მის კორექტირებას.

აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 2006 წლის კურსდამთავრებულს ზეინაზ ლომაშვილს მიენიჭოს ბიზნესის მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები, საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა":

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მოდულის „მაკროეკონომიკა" ხელმძღვანელად წარმოდგენილია ასოც. პროფესორი მ. ჩიქობავა.

2. მოდულის სტრუქტურიდან აშოლებულია სასწავლო კურსის სილაბუსი „მსოფლიო ეკონომიკა," რომელთა ავტორებია ნ. პაპახაშვილი, ე.

ლეკაშვილი. მოქმედია სილაბუსი ასოც. პროფ. თ. ზუბიაშვილის ავტორობით.

3. არჩევით კურსად წარმოდგენილია „ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლები“ 5 კრედიტი (სილაბუსის ავტორი ი. ბალარჯიშვილი)

4. განახლდა სასწავლო კურსის „ეკონომიკური აზრის ისტორია“ (ძირითადი და სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) სილაბუსი, კერძოდ, განახლდა ძირითადი ლიტერატურა: . ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკური აზრის ისტორია, თბ., 2019.

აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები

მოისმინეს: ისუ ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მსარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მსარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებები, სამაგისტრო პროგრამა „ეკონომიკა“:

1. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდულის „მაკროეკონომიკა“ ხელმძღვანელად წარმოდგენილია ასოც. პროფესორი ნ. კაკულია.

2. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსის სილაბუსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა II", რომლის ავტორებია ნ. პაპაჩაშვილი და ლ. ჯამაგიძე, მოქმედია სილაბუსი, რომლის ავტორია ე. სეფაშვილი;

3. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსის სილაბუსი ,,ევროკავშირის ეკონომიკა", რომლის ავტორებია ნ. პაპაჩაშვილი და ლ. ჯამაგიძე, მოქმედია სილაბუსი, რომლის ავტორიცაა აკად. ა. სილაგაძე და ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი.

4. განახლდა სასწავლო კურსის „ინსტიტუციური ეკონომიკა" სილაბუსი, განახლდა ლიტერატურა.

აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები

მოისმინეს: პროფესორ ე.ხარაიშვილის ინფორმაცია ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე მოდულის ,,გლობალური ფინანსები" დამატების შესახებ.

ამასთან პროფესორმა ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორ ი.კოკუზანაძის წერილი, რომლითაც მან მიმართა დეკანს პროფესორ გ.ღაღანიძეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ ე.ხარაიშვილს:

ზემოაღნიშნული წერილით,მან მოითხოვა აღნიშნული მოდულის ფარგლებში წასაკითხი საგნების სილაბუსები და ითხოვა გონივრული ვადა, არანაკლებ ერთი თვისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის ჩამოყალიბებისათვის.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ, მან თქვა:

1) საკითხი წარმოდგენილია პროცედურების დაცვით და გთხოვთ კენჭი უყაროთ;

2) პატივისცემას გამოვხატავ ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის, მისი ხელმძღვანელის - პროფ. ი. კოვზანაძის მიმართ და სწავლების პროცესში პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, თანახმა ვართ, მათი დამატებითი თხოვნის შემთხვევაში, მიეწოდოთ მათ „გლობალური ფინანსების" მოდულის სილაბუსები. იმავდროულად გთხოვთ ჩვენც მოგვაწოდოთ ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის სილაბუსები.

ასოცირებულმა პროფესორმა ლ.ღუდუშაურმა, მოითხოვა აღნიშნული საკითხის ერთი თვით გადადება.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გ.ღაღანიძემ არ მიიჩნია სწორად საკითხის გადადება, ვინაიდან საკითხის გადადება იქნებოდა პროცედურის დარღვევა, რაც დაუშვებლად მიიჩნია.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 23

წინააღმდეგი - 1

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე მოდული „გლობალური ფინანსები"

მოისმინეს: სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ირაკლი ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის პარჩოპირობების გავლენა ქვეყნის ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე" (მეცნიერ ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ფეფლეფსიანი), დაცვის კომისიისა და შემფასებლების დამტკიცების შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ნ. ფარესაშვილი/

შემფასებლები: პროფესორი გივი ბედიანაშვილი *(ევროპის უნივერსიტეტი)*, ეკონომიკის დოქტორი ბადრი გიორგიძე *(თბილისის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი)*

დაცვის კომისია:

1. პროფესორი თ. ბერიძე
2. პროფესორი ს. გელაშვილი

3. პროფესორი ე. მექვაბიშვილი
4. პროფესორი ე. ხარაიშვილი
5. პროფესორი ი. ხელაშვილი
6. პროფესორი თ შენგელია
7. პროფესორი მ. ტუხაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ი. გოგორიშვილი
9. ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი შ. ვეშაპიძე
11. ასოცირებული პროფესორი ე. ლეკაშვილი

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. ღადანიძემ აღნიშნა რომ კომისიაში აუცილებელია გარედან მოწვეული პროფესორი, პროფესორ მირიან ტუხაშვილის ნაცვლად დაცვის კომისიის შემადგენლობაში შევიდეს პროფესორი მურმან კვარაცხელია.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს შემფასებლები: პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი), ეკონომიკის დოქტორი ბადრი გიორგიძე (თბილისის მერიის შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის სამსახურის უფროსი)

დაცვის კომისია:

1. პროფესორი თ. ბერიძე
2. პროფესორი ს. გელაშვილი
3. პროფესორი ე. მექვაბიშვილი
4. პროფესორი ე. ხარაიშვილი
5. პროფესორი ი. ხელაშვილი
6. პროფესორი თ შენგელია
7. პროფესორი მ. კვარაცხელია
8. ასოცირებული პროფესორი ი. გოგორიშვილი
9. ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი შ. ვეშაპიძე
11. ასოცირებული პროფესორი ე. ლეკაშვილი

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტანა ძღებრიშვილის სადისერტაციო თემის და მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი.

სადისერტაციო თემა: „საქართველოსა და ლიეტუვას სავაჭრო ურთიერთობები"- მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი.

აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა ძღებრიშვილის სადისერტაციო თემა: „საქართველოსა და ლიეტუვას სავაჭრო ურთიერთობები" მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორითამაზ ზუბიაშვილი.

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთამარ მერმანიშვილის სადისერტაციო თემის და მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

სადისერტაციო თემა: „მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში"- მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი.

აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის ძედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთამარ მერმანიშვილის სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი.

სადისერტაციო თემა: „მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი.

2. პროფესორი ლ. საბაური

3. პროფესორი თ.შენგელია

4. პროფესორი დ.ხიჭინავა

5. ასოცირებული პროფესორი ნ.პაიჭაძე

6. ასოცირებული პროფესორი მ.ჩიკვილაძე

7. ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე

საბჭომ მხარი დაუჭირა კომისიის წარმოდგენილ შემადგენლობას

მოისმინეს: პროფესორ დადანიძის ინფორმაცია, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის ცვლილების შესახებ

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, **პროფესორი** გ.დადანიძე

საბჭოს მდივანი მ.მაისურაძე